თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №6

თბილისი, 23 სექტემბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- თორნიკე ჭეიშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- ხათუნა თოთლაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- თეიმურაზ მიქაბერიძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ბაია თოლორდავა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი;
- ლაშა პიტნავა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ნატაშა როთჩაილდი – „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის დირექტორი;
- თამარ ბასილაია – თარჯიმანი/თანაშემწე (NDI);
- ანნა მელიქიანი – OSCE/ODIHR;
- თაია არაბული – თარჯიმანი/თანაშემწე (OSCE/ODIHR).

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- ტატიანა ხოხიაშვილი – ა(ა)იპ „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსათვის“;
- დავით ჩიხელიძე – ა(ა)იპ „რეგიონული განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი“.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- გივი მიქანაძე – „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 28 ივნისის №1007 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმის – კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, უწყებათაშორისი კომისიის სხდომას კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი თორნიკე ჭეიშვილი წარუძღვა. მან სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
2. სხვადასხვა.

ბატონმა თორნიკემ აღნიშნა, რომ არჩევნების დღემდე დარჩენილია მცირე დრო, კომისია მაქსიმალურად უზრუნველყოფს მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის შესწავლას და კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების იდენტიფიცირებას, რათა საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენციისა და გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების გზით ხელი შეუწყოს თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას.

დღის წესრიგის შესაბამისად, კომისიის წევრებმა მოისმინეს ბატონი გელა გელაძის (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე) მოხსენება მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის – ტყიბულის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შესახებ. მან აღნიშნა, რომ სატელევიზიო სივრცეში ქალბატონი ანა ბუჩუკურის განცხადება, თითქოს პოლიტიკური ნიშნით მოხდა სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლება, უსაფუძვლოა. ბატონი გელას განმარტებით, ახალი დირექტორი, რომელიც დანიშნულია 2024 წელს, წარსულში იყო ტყიბულის №4 საჯარო სკოლის დირექტორი წლების განმავლობაში. გათავისუფლების საფუძველი გამომდინარეობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონიდან, რომლის თანახმადაც, სკოლის დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია ახალი დირექტორის დანიშვნა. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის ბრძანებით დაინიშნა ახალი დირექტორი და კანონის შესაბამისად გათავისუფლდა ქალბატონი ნანი აღნიშნული თანამდებობიდან. ბატონი გელას თქმით, ის არ გათავისუფლებულა სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით და ქალბატონი ნანი კვლავ აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას იმავე სკოლაში.

დღის წესრიგის შესაბამისად, ბატონმა თორნიკემ სიტყვა გადასცა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს (საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი).

მან ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მმართველი პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი შემომწირველის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ თითქოს უნებართვოდ სარგებლობას ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ქონებით. მისი თქმით, 2021 წლიდან იწყება ბათუმის მუნიციპალიტეტსა და აღნიშნულ შპს-ს შორის ურთიერთობა, როდესაც შპს „ახალმა ბულვარმა“ მიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რათა გადაეცათ კონკრეტული ტერიტორია (ბათუმის დასახლება – ანგისაში მდებარე 8399 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი). აღნიშნული ნაკვეთი არის ბათუმის ავტოდრომი, რომლის

დანიშნულებაც საავტომობილო სპორტის განვითარება და პოპულარიზებაა. ჯერ კიდევ 2021 წელს ამ განცხადების საფუძველზე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს საკრებულოსგან მიეცა თანხმობა, რომ აღნიშნული ქონება ორწლიანი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცემოდა შპს „ახალ ბულვარს“. ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა 2023 წლის პირველი სექტემბერი და აღნიშნული ორგანიზაცია ამ ტერიტორიაზე ახორციელებდა არაერთ ღონისძიებას. მისი თქმით, ობიექტური მიზეზების გამო 2023 წლის პირველ სექტემბერს ხელახალი მომართვის საფუძველზე დღემდე ვერ მოხერხდა უზუფრუქტის ხელშეკრულების გაგრძელება, კერძოდ, საქართველოსა და გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის მე-5 ფაზის ფარგლებში გამოყოფილი სესხითა და ადგილობრივი დაფინანსებით გათვალისწინებული იყო ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაში (სწორედ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის გვერდით) მდებარე ქონებაზე არსებული წყალარინების ნაგებობის გაფართოება და არსებული ქსელის ნაწილის რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო იყო გამწმენდი ნაგებობისთვის დამატებით მომიჯნავე მიწის ნაკვეთის გამოყოფა. მისი თქმით, პირველ ეტაპზე არ იყო დაზუსტებული, რა ტერიტორიას მოიცავდა აღნიშნული გამწმენდი ნაგებობა. ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ დღეისათვის ეს საკითხი უკვე გარკვეულია და მიმდინარე წელს შპს „ახალმა ბულვარმა“ ისევ მიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომ გადაეცათ კონკრეტული ტერიტორია იმავე მიზნობრიობით. გაფორმდა ხელშეკრულება და აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია ბავშვთა სკოლა „კარტინგის სამოყვარულო კლუბი“ და ეს ტერიტორია სხვადასხვა სარბოლო ღონისძიებას მასპინძლობს. მისი თქმით, აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანიზაციის მიერ მოეწყო ახალი ასფალტის საფარი, ჩაიდო 500000 ლარის ინვესტიცია, რამაც განაპირობა სპორტული კლუბის ეფექტური ფუნქციონირება და ბავშვების საერთაშორისო შეჯიბრებებზე გასვლა. ამავე პერიოდში ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მითითებულ ნაკვეთთან დაკავშირებით შემოსულია საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის შუამდგომლობა. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის წევრ ქვეყანას ევალება კარტინგების ღონისძიებებისა და შეჯიბრებების მუდმივად ჩატარება. ბატონი ნიკოლოზის თქმით, არაერთი ბათუმელი გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე ამ მიმართულებით. როგორც მან აღნიშნა, დამფუძნებლის, ბატონი ალექსანდრე ბაღათურიას, მიერ რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ, როგორც ფიზიკური პირის მიერ გაკეთებული შემოწირულობა, არანაირ კავშირში არ არის ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან. შესაბამისად, ბათუმის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ქონების განკარგვას.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ზურა ზაბახიძის განცხადებას (რომლის თანახმადაც, მას დახვდა სახლთან 2 ადამიანი და მის მიმართ განახორციელეს მუქარა), აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის არავის მოუმართავს რაიმე სახის დახმარების ან საქმის შესწავლის მიზნით. როგორც ბატონმა ალექსანდრემ განაცხადა, ბატონი ზურას მხრიდან მომართვის შემთხვევაში შსს მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

ბატონმა ალექსანდრემ ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება ქარელში წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ამომრჩეველთან შეხვედრის ხელის შეშლის საკითხს. მისი თქმით, 2024 წლის 8 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქარელის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეზე – ქალაქ ქარელში გუგა დარახველიძის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით). გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის 8 სექტემბერს ქალაქ ქარელში, თამარ მეფის ქუჩაზე პარტიის „ძლიერი საქართველოსთვის“ წარმომადგენლები არიგებდნენ ბუკლეტებს, რა დროსაც ამ პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრ გუგა დარახველიძის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა 1973 წელს დაბადებულმა ვახტანგ მღებრიშვილმა. მან გუგა დარახველიძეს დაუზიანა პარტიის ლოგოთი გამოსახული მაისური და ფეხის მიდამოში ფეხის დარტყმით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკითხა არაერთი მოწმე; გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ამოღებულია თავად გუგა დარახველიძის კუთვნილი მაისური; კანონის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. ბატონი ალექსანდრეს თქმით, ამ ეტაპზეც აქტიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და შემაჯამებელი გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

ბატონმა ალექსანდრემ მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციასთან დაკავშირებით (როგორც საბა ბუაძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, დაკავებულია „ძლიერი საქართველოს“ საგარეჯოს ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. მისივე თქმით, სავარაუდოდ, ეს არის პოლიტიკური დევნა) აღნიშნა, რომ 2024 წლის 5 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე (დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა/შენახვას, კერძოდ, ვუასალ კაიბოვის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვის ფაქტზე). შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიღებულ იქნა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, რეგისტრირებული მისამართის გარეშე და ფაქტობრივად საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში მცხოვრები, 1993 წელს დაბადებული ვუასალ მაილის ძე კაიბოვი პირადად ან საკუთარ საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე სათავსოში მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ინახავდეს ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა მოწმის სახით გამოკითხული ოპერატიული თანამშრომლის მიერ. როგორც დამატებით საქმეშია განმარტებული, დასახელებული ოპერატიული წყარო გამოირჩევა იმით, რომ, ზოგადად, სანდო ინფორმაციას აწვდის პოლიციას. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს. 2024 წლის 9 სექტემბერს სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე გაჩხრეკილ იქნა ვუასალ კაიბოვის საცხოვრებელი სახლი და დამხმარე სათავსოები, რა დროსაც ნანახი და ამოღებულია 2 იარაღი და მუყაოს ყუთში მოთავსებული ვაზნები. ამასთან, ჩხრეკის შედეგად დამხმარე სათავსოდან ამოღებულ იქნა 3 ცალი ვაზნა, რომლებიც დაილუქა შესაბამისი ლუქებით. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საპროცესო მოქმედებებით დადგინდა, რომ საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში მდებარე საცხოვრებელ სახლში ვუასალ კაიბოვი მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა იარაღსა და ვაზნებს. იგი დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით. გამოკითხულია მოწმეები და დაინიშნა ექსპერტიზა. ექსპერტიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ეს იარაღი არ იყო თავდაცვის ან საბრძოლო კატეგორიის, არამედ სპორტულ-სანადირო. შესაბამისად, მუხლი გადაკვალიფიცირდა. გამოძიება გრძელდება სისხლის

სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და, შესაბამისად, სასამართლო იმსჯელებს საბოლოო მტკიცებულებათა საფუძველზე. ბატონი ალექსანდრეს თქმით, არანაირი პოლიტიკური ნიშანი არ იკვეთება და ეს არის სტანდარტული საგამოძიებო მოქმედებები.

ბატონმა ალექსანდრემ ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზეც, რომელიც ეხება ფიზიკურ დაპირისპირებას ანა წითლიძის მიმართ. მისი თქმით, 2024 წლის 19 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ქალაქ ზუგდიდში ჩადენილ ჯგუფური ძალადობის ფაქტზე. 2024 წლის 19 სექტემბერს პარლამენტის დეპუტატი, პარტია „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ანა წითლიძე სხვა მხარდამჭერებთან ერთად ქალაქ ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე, დევნილთა საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ატარებდა წინასაარჩევნო კამპანიას, რა დროსაც შეხვდნენ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ამომრჩევლები, მათ შორის იყო თეონა ქარდავაც. თეონა ქარდავასა და ანა წითლიძეს შორის მომხდარი სიტყვიერი შელაპარაკებისას თეონა ქარდავამ ფიზიკურად გაიწია ანა წითლიძისკენ. ადგილზე მყოფმა სხვა პირებმა არ მისცეს მათ ერთმანეთთან მიახლოების საშუალება, რის პარალელურადაც იქ მყოფ პირებს შორის მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, სადაც ჩაერთო ანა წითლიძეც. გაგრძელდა ფიზიკური დაპირისპირება თეონა ქარდავასა და ანა წითლიძეს შორის. ანა წითლიძემ შეტყობინებით მიმართა 112-ს და განაცხადა მასზე თავდასხმის შესახებ. მოითხოვა ფაქტზე რეაგირება და ინციდენტის შეფასება როგორც პარლამენტის დეპუტატზე თავდასხმის მცდელობა. ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. საქმეზე გრძელდება გამოძიება, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება და ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მომხსენებლის თქმით, იმ პერიოდში ანა წითლიძე არ ახორციელებდა სადეპუტატო საქმიანობას და ის მონაწილეობდა წინასაარჩევნო კამპანიაში, გარდა ამისა, ის თავადვე იყო ჩართული ფიზიკურ დაპირისპირებაში.

ჩხოროწყუს ინციდენტთან დაკავშირებით ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ 2024 წლის 16 სექტემბერს ჩხოროწყუში ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პოლიტიკური პარტია

„ახლების“ წევრმა ვახტანგ ლემონჯავამ „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ ჯუმბერ იზორიას ავტომანქანა ქვებით დაუმტვრია. დაკითხულია მოწმეები. ვახტანგ ლემონჯავა გამოძახებულ იქნა ჩხოროწყუს რაიონულ სამმართველოში, რაზეც მან უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებით მისცემდა დაკითხვის უფლებას. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024 წლის 16 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჩხოროწყუს რაიონულ სამმართველოში დაწყებულია გამოძიება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინეში ნივთის დაზიანების ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით).

რაც შეეხება მედიამონიტორინგით გავრცელებულ შემდეგ ინფორმაციას, რომელიც ეხება „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ ზონის უფროს დიმიტრი კვანტალიანის მიერ ქალაქ ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში „ქართული ოცნების“ შეხვედრის ჩაშლის მცდელობას, ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ რაიმე შეტყობინება პოლიციაში არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, რეაგირება არ განხორციელებულა. მომხსენებლის თქმით, მომართვის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებს.

ბატონმა ალექსანდრემ მედიამონიტორინგით გავრცელებულ კიდევ ერთ საკითხზე ისაუბრა, რომელიც შეეხება ალექსანდრე ვალიაურის („კოალიცია ცვლილებებისთვის“) მიერ ქალაქ გორში „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ შეკრებაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის და „ქართული ოცნების“ წევრების მისამართით გახმიანებულ სიტყვიერ შეურაცხყოფას და შეკრების მონაწილეებში არეულობის გამოწვევის მცდელობას. მისი თქმით, ამ საქმეზეც დაწყებულია გამოძიება 2024 წლის 14 სექტემბერს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოში, კერძოდ, ალექსანდრე ვალიაურის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით). სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებით დადგინდა, რომ 14 სექტემბერს ალექსანდრე ვალიაურს ამ ეტაპზე გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, ხოლო

ალექსანდრე ვალიაური სასწრაფო დახმარების ავტომობილით გადაყვანილ იქნა ქალაქ გორის სამხედრო ჰოსპიტალში, საიდანაც იმავე დღეს გაეწერა ბინაზე. ალექსანდრე ვალიაური აღნიშნულ ფაქტს უკავშირებს მის მიერ პრემიერ-მინისტრის გამოსვლის დროს გაჟღერებულ კომენტარს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკითხა ალექსანდრე ვალიაური, დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა და შუამდგომლობით მიემართა გორის რაიონულ სამმართველოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გორის სამხედრო ჰოსპიტლიდან სრული სამედიცინო დოკუმენტაციის ამოღების თაობაზე. ბატონი ალექსანდრეს თქმით, საქმეზე გრძელდება გამოძიება.

ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) ისაუბრა საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე და აღნიშნა, რომ კონკურსის ფარგლებში არ დარღვეულა კანონმდებლობის არცერთი მუხლი, კონკურსები გამოცხადდა შესაბამის ვადაში. რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიებში დროებით ასარჩევი წევრის კანდიდატურებს, მათთან გასაუბრება ჩატარდა ონლაინ, რომელიც კანდიდატის თანხმობის საფუძველზე პირდაპირ რეჟიმში შუქდებოდა. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, თვალყური ედევნებინა გასაუბრების პროცესისთვის, სხდომა წარიმართა საჯაროდ და გამჭირვალედ. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კანდიდატურამ უნდა მიიღოს პირველ კენჭისყრაზე 12 ხმა, ანუ ხმების 2/3 , ხოლო განმეორებით კენჭისყრაზე – უბრალო უმრავლესობა – 9 ხმა. შესაბამისად, აღნიშნული კანდიდატების არჩევისას ყველა ფორმალური მხარე იყო დაცული. მომხსენებლის თქმით, კანონმდებლობასთან რაიმე კონფლიქტის არარსებობა დასტურდება თუნდაც იმით, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრების არჩევის შესახებ არცერთი მხარის მიერ არ გასაჩივრებულა. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ზოგიერთი ჩართული მხარე ცდილობს, პროცესი იმგვარად დაუკავშიროს პოლიტიკურ მოვლენებს, თითქოს აქ რაიმე გავლენა შეიძლება ყოფილიყო შესარჩევი პირების კანონიერებაზე. მისი თქმით, კონკურსშიც კი ვერ მოხვდებოდა კანდიდატი, ვისაც რაიმე ფორმალური ბმა ჰქონდა რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან: პირველი – ის არ უნდა ყოფილიყო შემომწირველი რომელიმე პარტიის, მეორე – რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნული წინასაპარლამენტო თუ სხვა საერთო არჩევნებისას კომისიის წევრად და არ უნდა ყოფილიყო

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი რომელიმე საარჩევნო კომისიაში. შესაბამისად, ყველა ეს კრიტერიუმი ჩადებული იყო პროგრამაში. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო კონკურსანტის არჩევა ამ კანონით გათვალისწინებული ნორმების დაკმაყოფილების გარეშე. რაც შეეხება აპელაციას, შეუძლებელია რაიმეს მტკიცება, თუ ჯერ საქმიანობა არ დაწყებულა. მომხსენებლის თქმით, ისინი მაშინ შეუდგნენ საქმიანობას, როდესაც არჩეულ იქნენ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში. მანამდე საარჩევნო ადმინისტრაციამ მიიღო ეთიკის ახალი კოდექსი, რომელშიც ხაზი გაესვა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხს.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ბოლო ინფორმაციაზე სასაუბროდ, რომელიც შეეხებოდა ისნისა და მთაწმინდის საარჩევნო ოლქების ტრენინგებზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა არშეშვების საკითხს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სიტყვა კვლავ გადასცა ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ გიორგი შარაბიძეს. ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ ტრენინგები დაიწყო ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში. მისი თქმით, არსებობს დიდი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საკითხიც პოლიტიკურ დღის წესრიგზეა მიბმული; ცესკო-ს ტრენინგების შესახებ ყველა სადამკვირვებლო ორგანიზაცია (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი) წინასწარაა ინფორმირებული; საოლქო საარჩევნო კომისიის როგორც პროფესიული ნიშნით არჩეული, ისე პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული ზემოაღნიშნული ტრენინგების გრაფიკების შესახებ და, შესაბამისად, არსად, ამ იზოლირებული შემთხვევების გარდა, მათი დასწრების მხრივ პრობლემა არ წარმოშობილა. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში, ისევე, როგორც ნებისმიერ საჯარო კანონმდებლობაში, ყველა ღონისძიებას შეიძლება დაესწროს მხოლოდ უფლებამოსილი პირი; განსაკუთრებით, საარჩევნო პროცედურების მსვლელობისას, საარჩევნო კანონმდებლობა ყველა ეტაპზე ცნობს უფლებამოსილ პირებს; ამ შემთხვევაში საუბარი შეიძლება ყოფილიყო, ერთი მხრივ, არაუფლებამოსილი პირის მიერ მცდელობაზე, რომ ერთგვარი ხმაურის ფონზე გაშუქებულიყო ტრენინგების დაწყება. ცესკოს-ს თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ ახლაც მიმდინარეობს ეს ტრენინგები, მათ სადამკვირვებლო ორგანიზაციები ესწრებიან, ისინი ინფორმირებული არიან და, ცხადია, თუკი საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ადგილი ექნება არამართლზომიერად ვინმეს უფლების შეზღუდვას, ცესკო-ს რეაგირება იქნება მყისიერი. ბატონი გიორგის თქმით, ტრენინგებზე დასწრების კუთხით პრობლემა არ

არსებობს; ყველა ტრენინგს ესწრებიან შესაბამისი წარმომადგენლები და ეს ტრენინგები კიდევ დიდხანს გაგრძელდება. მან ტრენინგებში ჩართულ ყველა პირს უსურვა წარმატება, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია.

მედიამონიტორინგით მიღებული საკითხების ამოწურვის შემდგომ ბატონმა თორნიკემ კომისიის წევრებს გააცნო ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის, ა(ა)იპ „რეგიონული განვითარების და ხელშეწყობის ცენტრის“ თავმჯდომარის, ბატონი დავით ჩიხელიძის წერილობითი მომართვები. ბატონი დავითის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებდა კომისიისადმი თხოვნას, ამ უკანასკნელის მიერ პოლიტიკური სუბიექტების მიმართ გამოცემულიყო რეკომენდაცია წინასაარჩევნო პროცესში საჯარო მოსამსახურეებისადმი ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ, თავმჯდომარის მოადგილემ ბატონ დავითს განუმარტა, რომ უწყებათაშორისი კომისიის სახელით 11 სექტემბერს გავრცელდა განცხადება აღნიშნულ საკითხზე, რომლის ტექსტიც განთავსებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე www.justice.gov.ge.

ბატონი დავით ჩიხელიძის იმ მომართვასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში ვიზიტისას გაკეთებულ განცხადებებს, ბატონმა თორნიკემ აღნიშნა, რომ საარჩევნო აგიტაციაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩართულობა ისედაც აკრძალულია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით. მისი თქმით, ვინაიდან ზემომითითებული პირები არ წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეებს ან რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოს, კომისიის რეკომენდაციის მათდამი პირდაპირ მიმართვა იქნება პრაქტიკულად შეუძლებელი, თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგადად, ის, რომ საარჩევნო კანონმდებლობის ნორმები უნდა იქნეს ზედმიწევნით დაცული, კომისია ამ სულისკვეთებას იზიარებს და თავისი მანდატის ფარგლებში მზადაა, ხელი შეუწყოს საარჩევნო ნორმათა განუხრელ რეალიზაციას იმგვარად, რომ არ მიადგეს ზიანი წინასაარჩევნო გარემოს და ნებისმიერმა მოქალაქემ შეძლოს თავისი პოლიტიკური ნების თავისუფლად გამოხატვა.

ბატონმა დავით ჩიხელიძემაც გამოთქვა თავისი მოსაზრება და განაცხადა, რომ მის განცხადებებში მოყვანილი ყოველი მსგავსი შემთხვევა აზიანებს საარჩევნო გარემოს და უნდა გაკეთდეს კიდევ უფრო მეტი იმ პირთა დასაცავად, რომლებიც ასრულებენ თავიანთ კანონიერ უფლებამოსილებას.

მოსაზრების გამოსათქმელად სიტყვა გადაეცა ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარეს, ბატონ დანიელ დავითაშვილს. ბატონმა დანიელმა ისაუბრა საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ხელშეშლასა და სხვა საკითხებზე.

ბატონმა გივი მიქანაძემ („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“) განაცხადა, რომ მომავალი არჩევნები მართლაც გამორჩეულია, რადგან პირველად უნდა განხორციელდეს ასეთი მასშტაბური ფორმატით ამომრჩევლების თითქმის 90%-ის მიერ რეგისტრაცია და ხმის მიცემა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი ელექტრონული საშუალებებით, რაც დამკვიდრებულია წამყვან ცივილიზებულ ქვეყნებში. მისი თქმით, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა მცდელობები, რომ საზოგადოებაში გავრცელდეს გარკვეული დეზინფორმაცია ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით. ბატონმა გივიმ აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ მიესალმება, რომ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ცესკო-მ, როგორც საინფორმაციო კამპანიის სახით სხვადასხვა მედიასაშუალებით, ისე პრაქტიკული კონტექსტიდან გამომდინარე, ათასობით ამომრჩეველს მისცა საშუალება, თავადვე მიეღოთ იმიტირებული კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა,. აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ზოგიერთმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ, სავარაუდოდ, მიზანმიმართულად დაიწყო შესატყვისი ინფორმაციის არასწორად გავრცელება, რაც კანონთან შეუსაბამოა და ეს გარკვეულ დაბნეულობას და ქაოტურ პროცესებს უქმნის საფუძველს. სწორედ ამის დადასტურება იყო 5 სექტემბერს ტელეკომპანია „პირველის“, ხოლო შემდეგ, 15 სექტემბერს“ ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში ერთ-ერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის („ჩემი ხმა“) წარმომადგენლის მხრიდან აბსოლუტურად არასწორად მიწოდებული ინფორმაცია საზოგადოებისთვის როგორც ხმის მიცემის პროცედურასთან, ისე ხმის მიცემის დროს ფოტო-ვიდეოგადაღების კომპონენტთან დაკავშირებით, რასთან მიმართებითაც ცესკო-მ სპეციალური განცხადებაც გაავრცელა და სპეციალური ბრიფინგიც მიუძღვნა. ამასთანავე, „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ აქვს სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რიგმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გამოთქვეს სურვილი, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში აწარმოონ გარკვეული კამპანია მოსახლეობასთან, რომ მათ ასწავლონ, მათი შეხედულებით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ხმის მიცემის პროცედურა. ბატონი გივის თქმით, კანონმდებლობა იცნობს

ამგვარი პროცესების მხოლოდ და მხოლოდ ცესკო-ს მიერ წარმართვას. მართალია, კანონმდებლობა არ კრძალავს სხვა ორგანიზაციების მიერ მსგავსი მოქმედებების ჩატარებას, მაგრამ საკითხი არის ძალიან სენსიტიური და ეხება ისეთ აპარატურას, რომელიც პირველად შემოდის ჩვენს რეალობაში. ბატონი გივის განცხადებით, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ამის შესახებ აქვს მხოლოდ და მხოლოდ ცესკო-ს; „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ კი, მიზანშეწონილად და პრინციპულად მიაჩნია, რომ მისმა ამომრჩეველმა რაიმე არასწორი ინფორმაცია რომ არ მიიღოს, ზემოაღნიშნული პროცესები მხოლოდ და მხოლოდ ცესკო-ს კომპეტენციას იყოს დაქვემდებარებული. ბატონმა გივიმ თხოვნით მიმართა ცესკო-ს წარმომადგენლებს, რომ უწყებამ, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად მოაგვაროს საკითხი იმგვარად, რომ მათთან შეუთანხმებლად მაინც არ განხორციელდეს მსგავსი პროცესები და ცესკო იყოს ამგვარ პროცესებში ჩართული, რათა გარანტიები არსებობდეს, რომ მიწოდებული ინფორმაცია ასახავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს და რაიმე დამახინჯებას ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებას არ ჰქონდეს ადგილი.

ბატონ გივის გამოეხმაურა ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი გიორგი შარაბიძე. მისი თქმით, საკითხი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმე ეხება ახალდასანერგი ტექნოლოგიების პირობებში ხმის მიცემის პროცედურას. შესაბამისად, აქ ინფორმაციის აცდენა მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს საარჩევნო პროცესისთვის. როგორც მან აღნიშნა, ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრით ადრე წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებით ცესკო-მ მზადყოფნა გამოხატა, ნებისმიერ ეტაპზე მისულიყო მათთან თავისი აპარატურით და მათი ტრენინგის ფარგლებში პროცედურებთან დაკავშირებით ყოფილიყო მხოლოდ ცესკო-ს ინტერვენცია. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ შარშან შემოდგომაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას ჩაუტარდა ე.წ. იმიტირებული კენჭისყრა; ამ შემოდგომაზეც ცესკო-ს ჰქონდა სპეციალური პროგრამა, რომელშიც ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას და პოლიტიკურ პარტიას გაეგზავნა შეთავაზება, რათა მათ წარმომადგენლებს ცესკო-ს მიერ დაგეგმილ ტრენინგებში მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მხრიდან გამოხმაურება ძალიან მცირე იყო. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ზემოაღნიშნულ საკითხზე საუბარს, რამდენადაც არის შიში, რომ ცალკეულ სწავლებაში, რომელზეც ცესკო-ს არ მიუწვდება ხელი, შესაძლოა,

კონკრეტული სადამკვირვებლო ორგანიზაციები, თუნდაც, იმიტომ, რომ არ იციან სრულყოფილად საარჩევნო კანონმდებლობა, იძლეოდნენ მცდარ ინფორმაციას, რამაც საბოლოოდ შეიძლება მოგვიტანოს ძალიან მძიმე შედეგები. ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ არ დარჩენილა კერძო კორპორაციაც კი, სადაც ცესკო არ მისულა და არ უჩვენებია შესაბამისი საარჩევნო პროცედურები. ამ ეტაპზე 600 000-მა ამომრჩეველმა გაატარა ბიულეტენი საკუთარი ხელით იმიტირებული კენჭისყრების დროს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბატონი გივის მიერ გახმიანებული ინფორმაცია უნდა დარჩეს უყურადღებოდ. ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, თუ რაიმე რეკომენდაცია ან შეთავაზება იქნება კომისიის ფარგლებში სწავლებებთან დაკავშირებით, ცესკო მზადაა, აქტიურად ჩაერთოს ამ კუთხით. ამას გარდა, ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ცესკო-ს ვებგვერდზე უკვე კარგა ხანია, დევს ოფიციალურად დადგენილებით დამტკიცებული სწავლების წიგნები, ე.წ. სახელმძღვანელოები ყველა ტიპის სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის, მედიისთვის და ა.შ. ოფიციალური სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ყველასთვის. შესაბამისად, ყველას შეიძლება ეთხოვოს, რომ საკუთარ სწავლებაში, განსაკუთრებით, ხმის მიცემის პროცედურისას, გაითვალისწინონ მხოლოდ და მხოლოდ კანონით დადგენილი ნორმები.

ბატონმა თორნიკემ კომისიის სახელით და მისი მანდატის გათვალისწინებით მზაობა გამოთქვა, შემუშავდეს კომისიის პოზიციის წარმოდგენის იმგვარი ფორმა და რეაგირების სახე, რომელიც ცესკო-თვის იქნება კიდევ ერთი არგუმენტი და დახმარება ზემოაღნიშნული პროცესის მაქსიმალურად ხელშეწყობის მიზნით.

ამის შემდეგ სიტყვა კვლავ ბატონ დანიელ დავითაშვილს (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე) გადაეცა, რომელმაც განაცხადა, რომ საარჩევნო უბნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა და მათმა წარმომადგენელთა რაოდენობამ – ვინაიდან ზოგიერთი მათგანი მცირე მოცულობისაა, შესაძლოა, წარმოშვას გარკვეული პრობლემები თავსებადობის კუთხით. მისივე თქმით, ზოგიერთი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან დამკვირვებლებად უკვე ჩართული იქნებიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებიც.

ბატონი დანიელის საპასუხოდ ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა გიორგი შარაბიძემ, განაცხადა, რომ ცესკო-ს მიერ შექმნილი ელექტრონული პროგრამა იმგვარ კვეთებს შეიცავს, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციასაც არ დაანიშნინებს ისეთ დამკვირვებელს, რომელიც იყო პოლიტიკური პარტიის შემწირველი ან პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნული და ა.შ. შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციამ ეს სერვისი უკვე შექმნა და იმის მიღმა უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ კანონთან შესაბამისი დამკვირვებლების დანიშვნას, ცხადია, ის ვერცერთი ფორმით ვერ გააკონტროლებს და არც გააკონტროლებს. რაც შეეხება ტერიტორიებსა და უბნებს, ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ეს საკითხი მუშავდება და, შესაბამისად, სახეზეა საკმაოდ დიდი წინსვლა. მისი თქმით, რამდენადაც კანონმდებლის მიერ საარჩევნო უბანი (სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება), მაქსიმუმ, 3000 ამომრჩევლისთვისაა განსაზღვრული, ამან იმის საშუალება გააჩინა, რომ თუ, მაგალითად, ერთ სკოლაში იხსნებოდა, დაახლოებით, სამი უბანი, ახლა დარჩება ერთი. შესაბამისად, ის შენობა და სივრცე მთლიანად დაეთმობა საარჩევნო პროცესს; თუმცა ამ მხრივ რეგიონებში გარკვეული გამოწვევები არსებობს.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ მომდევნო სხდომა არაუგვიანეს ორი კვირის შემდგომ გაიმართება, ხოლო ამის შემდეგ უწყებათაშორისი კომისია უკვე გადავა ყოველკვირეული საქმიანობის რეჟიმზე.

ბატონმა თორნიკემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი